

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და
ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
(2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით)**

მოგახსენებთ, რომ 2015 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა და განხორციელებული პროექტები სამივე მიმართულებით მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

აღნიშნული სამსახურის ინიციატივით არაერთ სახალხო დღესასწაულის აღდგენასა და დამკვიდრებას ჩაეყარა საფუძველი როგორებიცაა: „ასკანობა“, „კალანდა“, „გომისმთობა“, „ექვთიმეობა“ „შემოქმედობა“ ჩვენ მსგავსი ღონისძიებების აღდგენით, შევინარჩუნეთ არამარტო კულტურული მემკვიდრეობა, არამედ გამოვიყენეთ მუნიციპალიტეტში არსებული ყველა რესურსი, მოვიძიეთ ხალხური რეწვის ოსტატები, სოფლებში მოღვაწე სახალხო მთქმელები, პოეტები და ასევე სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, რომელთაც მიეცათ საშუალება აქტიურად ჩართულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ჩვენს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, წარმოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობები და გაეცნოთ ფართო საზოგადოებისთვის.

2015 წლის 14 იანვარს ჩვენი სამსახურის ორგანიზებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში, შალვა რადიანის სახელობის სახლ-მუზეუმში ჩატრდა ტრადიციული გურული კალანდის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „კალანდობა“ ღონისძიების ჩატარებისთვის დაიხარჯა თანხა 7420 ლარის ოდენობით.

2015 წლის ივნისი-ივლისის თვეებში კულტურის სამსახურის მიერ განხორციელდა მამუტაბური პროექტი სახელწოდებით „კულტურის დღეები“ ღონისძიებები გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 8 მოქმედ სასოფლო კლუბებში და მიზნად ისახავდა სოფლად კულტურული ცხოვრების გამოღვიძებას. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და ასევე ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. ღონისძიებების პარალელურად იმართებოდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ ტურისტული კუთხეები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემავალი კურორტების ამსახველი ფოტო გამოფენა. ასევე ყველა სოფელში წარმოდგენილი იყო ადგილობრივი რეწვის ოსტატების ნამუშევრები. აღნიშნულ ღონისძიებაში დაიხარჯა თანხა 8500 ლარის ოდენობით.

2015 წლის 14 აგვისტოს კურორტ გომისმთაზე ჩატრდა ღონისძიება „გომისმთობა“ სადაც მონაწილეობა მიიღეს პოპულარულმა მოწვეულმა

შემსრულებლებმა. ღონისძიების ჩატარებისთვის დაიხარჯა თანხა 13 074 ლარის ოდენობით.

2015 წლის 21 აგვისტოს პროექტ „ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვას“ ფარგლებში დაბა ურეკში, ზღვის სანაპიროსთან გაიმართა გალა კონცერტი ასევე პოპულარული მომღერლების მონაწილეობით. პროექტი მიზნად ისახავდა ტურისტული პოტენციალის ამღლებასა და პოპულარიზაციას, აღნიშნული ღონისძიების ჩატარებისათვის დაიხარჯა თანხა 14 410 ლარის ოდენობით.

2015 წლის 30 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში ჩატარდა სოფლის დღესასწაული „ასკანობა“ ღონისძიების ჩატარებისთვის დაიხარჯა თანხა 10 915 ლარის ოდენობით.

2015 წლის 20 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში ჩატარდა სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა“. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის დღესასწაულის აღდგენას და ტრადიციად დამკვიდრებასაც ჩაეყარა საფუძველი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ასევე მოწვეულმა ეთნო-ფოლკ. ჯგუფებმა. ღონისძიებაზე დაჯილდოებულ იქნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეები და საპატიო შემოქმედელები ასევე სოფ. შემოქმედის სკვერში მოეწყო ტურისტული კუთხეები და ფოტო გამოფენები. ღონისძიების ჩატარებისთვის დაიხარჯა თანხა 10 495 ლარის ოდენობით.

2015 წლის 19 ოქტომბერს, კულტურის სამსახურის ორგანიზებით, სოფ. ლიხაურში გაიმართა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ექვთიმეობა“. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში გაიმართა სემინარი თემაზე „წმინდა ექვთიმეს ცხოვრება და მოღვაწეობა“, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ეთნოგრაფიული კუთხეები, ასევე რეწვის ოსტატების ნამუშევრები.

ღონისძიებაზე დაჯილდოებულ იქნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეები და საპატიო ლიხაურელები.

ღონისძიება დასრულდა კონცერტით სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ასევე მოწვეულმა პოპულარულმა ჯგუფმა და სოლო შემსრულებელმა, ღონისძიების ორგანიზებისთვის დაიხარჯა თანხა 21 468 ლარის ოდენობით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებები

1. 2015 წლის 20 - 21 თებერვალს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნა“-პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი გიდების გადამზადებისა და პროექტის წერაში. (ჩართულობის ცენტრი).

2. 2015წლის 16-18 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მონაწილეობა მიიღო მე-17-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში ქ. თბილისში საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში, რისთვისაც გადაირიცხა თანხა 3000 ლარის ოდენობით.

3. 2015 წლის აგვისტოს თვეში ტურიზმის განყოფილების ეგიდით სტუდენტურ ჯგუფთან ერთად მოეწყო 3 დღიანი ლაშქრობა გომისმთაზე. ღონისძიების მიზანი იყო გომისმთის პოპულარიზაცია.

4. 2015 წლის ივნის-ივლისში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა პროექტ „კულტურის დღეების“ ფარგლებში ჩატარა კულტურის დღეები მუნიციპალიტეტში მოქმედ 8 სასოფლო კლუბში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა და ადგილობრივმა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა მონაწილეებმა.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა სპორტული შეჯიბრებები და ტურისტული ადგილების ამსახველი ფოტოების გამოფენა.

5. 2014-2015 წლის 3 ნოემბერს ტურიზმის განყოფილებამ არასამთავრობო ორგანიზაცია „ტურიზმი და რეალობასთან " ერთად მოამზადა პროექტი , რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის სოფლების ტურისტული პოტენციალის კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნა, აგრეთვე გიდების გადამზადება. პროექტი 6 თვიანია. პირველი ტრენინგი გაიმართა 21-22 თებერვალს. პროექტში მონაწილეობა მიიღო 21 ადამიანმა.

6. 2015 წლის მაისში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“

პროექტის მიზანი იყო კურორტების: ურევი - გომისმთის პოპულარიზაცია.

7. 2015 წლის მაისი თვეში ტურიზმის განყოფილებამ ჯანვერდი ცეცხლადის გოგიეთის ტყე-პარკში ჩატარა გაწმენდითი სამუშაოები.

8. 2015 წლის ივნისი თვეში ტურიზმის განყოფილებამ დააფინანსა 3 კაციანი ჯგუფი პროექტში „უცნობი საქართველო“- მონაწილეობის მისაღებად, რაც ითვალისწინებდა ლაშქრობას მარშრუტით: თრიალეთის ქედი, კლდეკარი, საბოლიას ხეობა, რკონი.

9. 2015 წლის 5-6 აგვისტო - ტურიზმის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ტურისტული ლაშქრობა გოგიეთის ტყე-პარკში. მონაწილეობდა 15 წარჩინებული მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის სპორტის განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებები

სოფლებში სპორტული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დახმარება გავუწიეთ მუნიციპალიტეტში არსებულ საფეხბურთო გუნდებს, მოჭიდავეებს, ჭადრაკის კლუბებს, ნარდის ფედერაციას. სპორტული ინვენტარი გადაეცა ნატანების, ბახვის, ასკანის, ნასაკირალის, დაბა ლაითურის საფეხბურთო და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის კლუბებს.

წარმატებულ მრწოვნელებს გაეზარდათ ანაზღაურება, ასევე სოფელ ვაკიჯვარში შეიქმნა რაგბის კლუბი. შეიქმნა სოფელ შემოქმედის საფეხბურთო კლუბი და „ოლიმპიური ტაეკვანდო“. საფეხბურთო კლუბს საჩუქრად გადაეცით სპორტული ინვენტარები.

1. 2015 წლის 28-30 იანვარს ჩატარდა ნოდარ ახალკაცის სახელობის ფეხბურთის ტურნირი, "ვითჯორჯია"35-ე სკოლისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო კლუბი "ბახვის" მონაწილეობით. ტურნირში დაფინანსდა 500 ლარით.

2. 2015 წ. 7 თებერვალს გურიის სამხარეო პროკურატურის ეგიდით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის სპორტის განყოფილების თანამონაწილეობით ჩატარდა ბავშვთა შორის კალაძურთის რეგიონალური ჩემპიონატი.

3. 2015წ. 26 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომის ფარიკაობის კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში გამართულ ტურნირში. მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრები რომლის ღირებულება შეადგენდა 262 ლარს.

4. 2015წ. 13-15 იანვარს ქ. თბილისში ჩატარებულ ვ. მაისურაძის სახელობის ტურნირში გაიმარჯვა სოფ. ლიხაურის სასპორტო სკოლის გუნდმა (მწვრთნელი ა. ბოლქვაძე) და დაბა ლაითურის სასპორტო სკოლის გუნდმა (მწვრთნელი ა. მარგალიტაძე) ტურნირი დაფინანსდა 2385 ლარით.

5. 2015წ. 20 თებერვალს ქ. ოზურგეთის საჭადრაკო კლუბ "გურიას" გადაერიცხა თანხა 200 ლარის ოდენობით მუნიციპალიტეტებს შორის გუნდური ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მონაწილეობის მისაღებად.

6. 2015 წ. 23 თებერვალს ჩატარდა როსტომ აბაშიძის სახელობის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სოფ. ლიხაურის სასპორტო სკოლამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და სოფ. შრომის სასპორტო სკოლამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირი დაფინანსდა 1460 ლარით.

7. 2015წ. 15 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯაში ჩატარდა ჩემპიონატი რაიონებს შორის ფეხბურთში. ჩემპიონატის ჩასატარებლად შევიძინეთ შემდეგი სპორტული ინვენტარი: კარის ბადე 2 ცალი, ბურთი 3 ცალი და სხვადასხვა ზომის თასები, რისი ღირებულებაც შეადგენს 280 ლარს.

8. 2015წ. 15 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში ჩატარდა ტურნირი ფრენბურთში. აღნიშნული ტურნირის ჩასატარებლად გადავეცით სპორტული ინვენტარი: ფრენბურთის ბურთი 2 ცალი და ფრენბურთის ბადე 1 ცალი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 125 ლარს.

9. 2015წ. 28 აპრილს პროექტ „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“ ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომისმთაზე გინესის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ 9 წუთსა და 37 წამში თავით აკენწლა ფეხბურთის ბურთი და დაამყარა რეკორდი., რისთვისაც ჯილდოს სახით გადავეცით 1500 ლარი.

10. 2015წ. 21 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში ტურნირების ჩასატარებლად გადაეცათ სპორტული ინვენტარი.

11. 2015წ.14 აგვისტოს კურორტ გომისმთაზე სახალხო დღესასწაულ "გომისმთობის" ფარგლებში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები ფარიკაობასა და მინი ფეხბურთში, რომლის ორგანიზებისათვის დაიხარჯა თანხა 615 ლარის ოდენობით.

12. 2015 წლის 7 სექტემბერს ა.(ა).ი.პ. ნარდის ფედერაციას ტურნირის ჩასატარებლად გადაერიცხა თანხა 1100 ლარის ოდენობით.

13. 2015 წლის 8 სექტემბერს გურიის ჭადრაკის ფედერაციას ჩემპიონატის ჩასატარებლად გადაერიცხათ თანხა 3500 ლარის ოდენობით.

14. მიმდინარე წელს სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული კლუბებისათვის შეძენილი იქნასხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი 760 ლარის ოდენობით.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წელი მეტად ნაყოფიერი და წარმატებული იქნება როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ასევე კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისთვისაც.